სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - „მულტილინგვური განათლება“ - 60 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: ნინო შარაშენიძე
ჰუმანიტარულ მცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
ტელ: 5 99 39 39 80, 2 94 43 64
ელ-ფოსტა: nino.shrashenidze@tsu.ge

პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა- „მულტილინგვური განათლება“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - კვალიფიკაციას არ ანიჭებს
პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 60
სწავლების ენა - ქართული
პროგრამის მიზანი: მულტილინგვური განათლების მასწავლებლის მომზადების პროგრამის მიზანია, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წარჩინებული მასწავლებლის / და მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული უფროსი მასწავლებლის /კომპეტენციის მქონე პედაგოგების მომზადება, კერძოდ, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი დარგის /საგნის სპეციალისტის აღჭურვა პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური დარგობრივი და მეორე ენის სწავლების კომპეტენციებით. პროგრამა უზრუნველყოფს, სტუდენტმა მიიღოს ცოდნა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ძირითადი კანონზომიერებების შესახებ და შეძლოს საგნობრივ ცოდნასთან ენობრივი კომპეტენციების ეფექტიანი ინტეგრირების საშუალებით წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელება.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი დარგის ბაკალავრი/მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით.

სწავლის შედეგი

1. **ცოდნა და გაცნობიერება**

იცის და გაცნობიერებული აქვს:

- საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სამართლებლივი ბაზა და სტრუქტურა;
- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები;
- მულტილინგვური და მულტიკულტურული განათლების არსი და მნიშვნელობა;
- პედაგოგიკის მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები;
- დიდაქტიკური და ზოგადპედაგოგიკური პრინციპები;
- სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები;
- განვითარების ფსიქოლოგიური თეორიები;

- მოზარდის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურები;
- მულტილინგვური კლასისათვის მორგებული მეთოდები, სტატეგიები და ტექნოლოგიები;
- მულტილინგვური განათლების შეფასების სახეები და მეთოდები;
- სასწავლო პროცესში მოზარდის უფლებების დაცვის საკითხები;
- ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები;
- მშობლებთან თანამშრომლობის სტრატეგიები მათი ენობრივი კომპეტენციის დონის გათვალისწინებით;
- უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებები.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

შეუძლია:

- სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში პედაგოგიკის თანამედროვე თეორების მიზნობრივად გამოყენება;
- სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდის მორგება მულტილინგვური სწავლების კონკრეტულ მოდელთან აკადემიური მოსწრებბის გაუმჯობესების მიზნით;
- მულტილინგვური განათლების სასწავლო პროცესის მიზანმიმართული დაგეგმვა და წარმართვა, კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე, მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება;
- მულტილინგვური განათლებისათვის ადეკვატური სასწავლო რესურსების გამოყენება;
- მულტილინგვური კლასის ეფექტური მართვა;
- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება;
- სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით ინკლუზიის სწორად განხორციელება; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის მართვა;
- ჯანსაღი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა;
- სასწავლო პროცესში მშობლებთან და კოლეგებთან თანამშრომლობა და პედაგოგიური კონსულტაციის გაწევა;
- სხვადასხვა ენობრივი კომპეტენციის მქონე კოლეგებთან და მშობლებთან ერთად კვლევითი საქმიანობების დაგეგმვა, განხორციელება და პრაქტიკაში გამოყენება;

3. **დასკვნის უნარი:**

შეუძლია:

- საკუთარ სამუშაო სფეროში ინფორმაციის მოპოვების, დამუშავება, ანალიზია და დასკვნის გაკეთება;
- მულტილინგვური განათლების სასწავლო პროცესში პრობლემის განსაზღვრა, ანალიზი და გადაწყვეტის გზების დასახვა;
- ინდივიდუალური პროფესიული განვითარების დაგეგმვა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების სტრატეგიების ჩამოყალიბება.
- პროფესიული სიტუაციების ანალიზი, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა და დასკვნის გაკეთება.

4. **კომუნიკაციის უნარი:**

შეუძლია:

- პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაცია კოლეგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან;
- სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაგებ და აკადემიურ დონეზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია;
- აქვს სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.
- სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის პირთა აზრებისა და არგუმენტების მოსმენა და კონსტრუქციული დიალოგის წარმართვა;
- სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე პირებთან დიალოგისა და თანამშრომლობის მიზანმიმათულად წარმართვა;
- სხვადასხვა კულტურისა და ტრადიციების მქონე ადამიანებთან სწორი ურთიერთობის წარმართვა;
- ქართულ და უცხო ენაზე პროფესიულ და არაპროფესიულ საზოგადოებასთან დისკუსია;
- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების, ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემის უნარი ქართულ და მეორე / უცხოურ ენებზე;
- კულტურათაშორისი დიალოგი.

5. სწავლის უნარი:

აქვს:

- მოცემულ დისციპლინაში ახალი მასალის მოძიებისა და დამოუკიდებლად შესწავლის უნარი;
- მულტილინგვური განათლების ახალი მეთოდებისა და სტრატეგიების მოძიების, შექმნისა და სწორად გამოყენების უნარი;
- საკუთარი პროფესიული საჭიროებების განსაზღვრის, განვითარების გზებისა და საშუალებების მოძიებისა და განხორციელების უნარი;
- უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების გაცნობიერებისა და რეცეფციის უნარი;
- მულტილინგვური განათლების პროცესში სასწავლო რესურსების მოძიებისა და შექმნის უნარი.
- საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების უნარი.

6. ღირებულებები:

აქვს:

- მოსწავლის პიროვნების, მისი უფლებებისა და მოვალეობების პატივისცემა მოსწავლის ეთიკის კოდექსის შესაბამისად;
- მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობის უნარი;
- სხვადასხვა აღმსარებლობის, კულტურისა და ტრადიციების მიღება და პატივისცემა;
- პროფესიული ეთიკური ღირებულებები;
- როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების უნარი;
- მრავალფეროვნების, ბილინგვიზმისა და მულტიკულტურალიზმისადმი პოზიტიური დამოკიდებულება;
- მრავალმხრივი პერსპექტივის დაფასებისა და გაზიარების უნარი;
- მშობელთა საზოგადოებასთან თანამშრომლობითი დამოკიდებულება.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მიღწევა გულისხმობს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას, რომელიც მოიცავს პროგრამის თითოეულ კომპონენტში დატვირთვის სხვადასხვა სახეებს (ლექციაზე დასწრება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მეცადინეობას და სხვ.) მისი თავისებურებიდან გამომდინარე. თითოელი სასწავლო კურსისათვის გამოიყენება სწავლების ის მეთოდები და ხერხები, რაც განაპირობებს ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამით მისაღწევ შედეგებთან.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება მიზნად ისახავს კომპეტენციების გამომუშავებას. სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება სტუდენტს აქცევს სწავლების რეალურ სუბიექტად.
პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება. სწავლების პროცესის მაღალ დონეზე წარმართვის, სტუდენტთა აქტიურად ჩართულობის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:
ახსნა-განმარტებითი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით მიიღწევა ცოდნა და გაცნობიერების კომპეტენცია;
ინდუქციური - სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. ეს ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნების, ანალიზისა და ცოდნის უნარების გამომუშავებას;
ანალიზის - სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება. აღნიშნული მეთოდით მიიღწევა ანალიტიკური აზრობნების, არგუმენტირებისა და დასკვნების გამოტანის უნარი;

სინთეზის - სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;

დისკუსია/დებატების - ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას, რომლის შედეგადაც მიიღწევა არგუმენტირებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები;

ჯგუფური მუშაობის - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. აღნიშნული მეთოდის გამოყენება სტუდენტებს გამოუმუშავებთ ჯგუფში მუშობის უნარ-ჩვევებს, კომუნიკაციის უნარს;

გონებრივი იერიშის (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავდებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. ამ დროს სტუდენტებს უმუშავდებათ ლოგიკური აზროვნების, არგუმენტირების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ღირებულებებისა და მყისეული გადაწყვეტილებების მიღების უნარები;

წერითი მუშაობის მეთოდი - გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ესსეს შესრულება და ა. შ.

პრეზენტაციის მომზადება - აღნიშნული მეთოდი (ვიზუალური, ვერბალური) გამოიყენება, რათა მრავალმხრივ, ეფექტურად და თვალსაჩინოდ წარმოჩნდეს დამუშავებული თუ წინასწარ შესრულებული მასალა. ამ გზით სტუდენტებს გამოუმუშავდებათ კომუნიკაციის უნარ-ჩვევები;

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს ცოდნა-გაცნობიერებისა და კომუნიკაციის უნარების გამომუშავებას;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. ამ მეთოდის საშუალებით მიიღწევა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის გამოტანისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;

თანამშრომლობითი სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს

თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს;

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა:

კრედიტის მიღება შესაძლებელია სტუდენტის მიერ მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღებით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N3 2007 წლის 5 იანვარი ქ. თბილისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ.)

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის ცოდნის შეფასება ითვალისწინებს:

- **აქტივობის შეფასებას;**
- **შუალედური გამოცდის/გამოცდების შეფასებებს;**
- **დასკვნითი გამოცდის შეფასებას.**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულა.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის საბოლოო შეფასება ხდება აქტივობის შეფასების, შუალედური შეფასების/შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების

საფუძველზე.
სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.
სტუდენტს ეძლევა უფლება გავიდეს დასკვნით გამოცდაზე, თუ მას აქტივობის შეფასების და შუალედური შეფასებების ქულათა ჯამით დაგროვებული აქვს არანაკლებ 11 ქულა.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურადაა აღწერილი ის მექანიზმები და კომპონენტები, რომელთა მიხედვით სტუდენტი აგროვებს აქტივობისათვის გათვალისწინებულ ქულებს;
შუალედური გამოცდა/გამოცდები ტარდება წერითი/ზეპირი/ტესტური ფორმით.
დასკვნითი გამოცდა ტარდება წერითი/ზეპირი/ტესტური ფორმით საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.
სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი 1

პროგრამის ხელმძღვანელი : ნინო შარაშენიძე, ჰუმანიტარულ მცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;ტელ: (+995-5 99) 39 39 80; ელ. ფოსტა: nino.shareshenidze@tsu.ge

დასაქმების სფეროები: ზოგადსაგანმანათლებლო ქართულენოვან და არაქართულენოვანი სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურის (7-12 კლასები) შესაბამისი საგნის / ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელი.

სწავლის გაგრძელების საშუალება:
კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა:

პროგრამა ხორციელდება თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიების ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ–ტექნიკური რესურსით (ბიბლიოთეკა, სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები), კომპიუტერული რესურს–ცენტრი (სტუდენტებისათვის კომპიუტერებისა და ინტერნეტის თავისუფალი წვდომით), საკონფერენციო დარბაზი.

პროგრამის ადამიანური რესურსები:
პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები, რომელთაც აქვთ მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი პროფესიული გამოცდილება მულტილინგვური განათლების განხრით.

სილაბუსები: იხ. დანართი2

დამატებითი ინფორმაცია

საგანმანათელებლო პროგრამა „მულტილინგვური განათლება“ მომზადდა TEMPUS-ის ერთობლივი პროექტის „**DIMTEGU -** მულტილინგვურ მასწავლებელთა მომზადების პროგრამების შექმნა და დანერგვა საქართველოსა და უკრაინის უნივერსიტეტებში“ ფარგლებში (პროექტის ნომერი 530360-TEMPUS-1-2012-1-GE-TEMPUS-JPCR). პროექტის ელექტრონული გვერდი www.dimtegu.tsu.ge

ამავე პროექტის ფარგლებში მომზადდა პროგრამის სასწავლო რესურსები და ითარგმნა სახელმძღვანელოები.

პროგრამის სპეციფიკის გათვალიწინებით, მას აქვს ინტერდისციპლინური მახასიათებელი და ამის გამო იგი განხორციელდება სხვადასხვა ფაკულტეტის ჩართულობით.

მულტილუნგვური განათლების მასწავლებლის მომზადების პროგრამის მიზანია მსმენელს მისცეს პედაგიგიური, საგნობრივ-მეთოდიკური ციკლის დისციპლინებისა და მულტილინგვური განათლების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა. პროგრამაში წარმოდგენილი ყველა საგნის შინაარსი

შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ მასწავლებლის პროფესიულ და საგნობრივ სტანდარტებთან. პროგრამა გაწერილია ორ სემესტრად. ვინაიდან პროგრამა ზრდასრულებისთვისაა გათვალისწინებული, შესაძლებელია, მსმენელთა აზრის გათვალისწინებით, კურსების დაჩქარებული /კონცენტრირებული წესით გავლა, რაც გულისხმობს სემესტრის ორ ეტაპად წარმოდგენას, საგანთა განაწილებას პირველი და მეორე ეტაპების მიხედვით, საათების გაორმაგებული რაოდენობით. პედაგოგიური პრაქტიკა მოიაზრება მეორე სემესტრში.

პროგრამის დასრულების შემდეგ, სასწავლო კომპონენტებით გათვალისწინებული 60 კრედიტის მოგროვების საფუძველზე, გაიცემა მასწავლებლობის უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატი.